სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი #1

ქ. თბილისი **2022 წლის 04 თებერვალი**

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: რამაზ ხომერიკი)

2. სახელმწიფო საკუთრებასა და უნივერისტეტის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N58- ში მდებარე 40 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მ.შ. დაახლოებით 23 500 კვ.მ. სატყეო ზონა) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს.კ: 01.14.09.004.038) სახელმწიფოს მიერ პრივატიზების შესახებ (მომხსენებლი: ლაშა საღინაძე)

თსუ სენატის სამდივნოში, ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა **44** წევრმა:

1.მანანა რუსეიშვილი 2. ნოდარ ლომიძე 3. აპოლონ თაბუაშვილი 4. ლალი ახალბედაშვილი 5. კახაბერ ლორია 6. ლევან საბაური 7. ირინე ჟვანია 8. ეკა ვარდოშვილი 9. სოფიო ხუციშვილი 10. ბეჟან თუთბერიძე 11. ლია მაჭავარიანი 12. ნინო აბესაძე 13. გიორგი გოგსაძე 14. ადა ნემსაძე 15. ნინო ჭალაგანიძე 16. ელისაბედ ბჟალავა 17. მიხეილ რუხაია 18. მარინა გურგენიშვილი 19. ილია თავხელიძე 20. გიორგი ჯაფოშვილი 21. გვანცა გვანცელაძე 22. მანანა ნიკოლაიშვილი 23. ნათელა არჩვაძე 24. ელენე ბებერაშვილი 25. მიხეილ ბახტაძე 26. ვლადიმერ მარგველაშვილი 27. ალექსანდრე გაბაშვილი 28. თამარ პაიჭაძე 29. დინა ხუციშვილი 30. მათე შვანგირაძე 31. მარინა

გარიშვილი 32. თემურ ცქიტიშვილი 33. ნინო ჩახუნაშვილი 34. ციური სუმბაძე 35. მარინე ხუციშვილი 36. ნოდარ ხოდელი 37. საბა სახვაძე 38. ეთერ კაკულია 39. ანასტასია ზაქარიაძე 40. გიორგი თუმანიშვილი 41. კობა ყალიჩავა 42. მარიამ თვალაძე 43. ნაზირა კაკულია 44. თინა ქიტუაშვილი (დანართი 1)

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება) განხილვაში მონაწილეობს ასევე აკადემიური საბჭო, მასალები რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ გადაგზავნილი იქნა თსუ აკადემიური საბჭოს წევრებთან გასაცნობად (დანართი 2).

დისტანციური სხდომის დღის წერიგის 2-ელ საკითხთან დაკავშირებით (სახელმწიფო საკუთრებასა და უნივერისტეტის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N58- ში მდებარე 40 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მ.შ. დაახლოებით 23 500 კვ.მ. სატყეო ზონა) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს.კ: 01.14.09.004.038) სახელმწიფოს მიერ პრივატიზების შესახებ) სენატის წევრებმა: მიხეილ რუხაიამ, მიხეილ ბახტაძემ და მარინე გარიშვილმა შეკითხვებით მიმართეს საკითხის მომხსენებლს, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ლაშა საღინაძეს, კერძოდ, მიხეილ რუხაია დაინტერესდა: 1. რა ფართის შენობა-ნაგებობაა განთავსებული აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე? 2. რა მდგომარეობაშია ეს შენობა-ნაგებობა? 3. რეალურად, ამჟამად სარგებლობს თუ არა უნივერსიტეტი აღნიშნული მიწის ნაკვეთით ან შენობა-ნაგებობით? 4. რომელ ტერიტორიაზე იგეგმება უნივერსიტეტისათვის სანაცვლოდ ასაშენებელი ახალი, 5000 კვ.მ შენობის მშენებლობა და რა დანიშნულების იქნება იგი? იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენელი მარინე გარიშვილი დაინტერესდა: 1. რამდენად მომგებიანი იქნება უნივერსიტეტისთვის აღნიშნული გარიგება? 2. ტერიტორიულად - რომელ ზონაში, აგრეთვე რა ვადაში მოხდება მითითებული ფართის შენობა-ნაგებობის აშენება და უნივერსიტეტისთვის გადმოცემა? წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა მიხეილ ბახტაძემ დასვა შეკითხვები, ასაშენებელი შენობის ფართობზე, ვადებზე და გარანტიებზე.

საკითხის მომხსენებელმა, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლაშა საღინაძემ წერილობით განმარტა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არის დაუმთავრებელი (დაახლოებით 25 წლის წინ დაწყებული) შენობა ნაგებობა მცირე მასშტაბის, რეალურად ნანგრევები, უნივერსიტეტს ამ ტერიტორიით არასოდეს უსარგებლია, იგეგმება კორპუსის აშენება უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსის უკან, საწყობის ტერიტორიაზე, რომელიც სრულად მოაგვარებს ფაკულტეტების სასწავლო ფართის პრობლემას და როგორც ამ შენობაში, ისე პირველ და მეორე სასწავლო კორპუსებშიც უამრავ საუდიტორიო სივრცეს მიიღებს უნივერსიტეტი. ასევე აღნიშნა, რომ საუბარია არანაკლებ 5000 კვ.მ შენობის აშენებაზე (დაზუსტდება პროექტირების ეტაპზე). აღნიშნა, რომ ვადების შესახებ წინასწარ რთულია საუბარი, რადგან საკითხი ეხება კულტურული მემკვიდრეობის შენობების სიახლოვეს ახალი შენობის აშენებას, რასაც გარკვეული თანხმობები სჭირდება და ეს დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან; მისი აზრით, სავარაუდოდ წლის ბოლომდე (ან უფრო ადრეც) უნდა დასრულდეს საპროექტო სამუშაოები, თავისი ნებართვებით, რის შემდგომ გამოცხადდება ტენდერი მშენებლობის თაობაზე; უშუალოდ სამუშაოების განხორციელებისთვის, კანცლერის განმარტებით, სავარაუდოდ საჭირო იქნება 1.5-2 წელი.

მიღებული განმარტებების შედეგად, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს მხარი არ დაუჭირეს იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლებმა მარინა გარიშვილმა და კობა ყალიჩავამ. სენატის წევრის, კობა ყალიჩავას მოსაზრებით, ქონების განკარგვის

მიზანშეწონილობის საკითხი მეტ დისკუსიას საჭიროებს როგორც სენატის წევრებთან, ისე ფაკულტეტებთან.

შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით. (დანართი 3)

მომხრე: 44

წინააღმდეგი: 0

2. გაიცეს თანხმობა სახელმწიფო საკუთრებასა და უნივერისტეტის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N58- ში მდებარე 40 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მ.შ. დაახლოებით 23 500 კვ.მ. სატყეო ზონა) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს.კ: 01.14.09.004.038) სახელმწიფოს მიერ პრივატიზებაზე წარმოდგენილი პირობებით. (დანართი 4)

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 2

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი - ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი - გიორგი ჩაკვეტაძე

2022 წლის 04 თებერვლის დისტანციური სხდომის ფორმატში (სხდომა #1, ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

საბაური ლევანი -

კაკულია ნაზირა -

სტუდენტები:

ჯაფოშვილი გიორგი -

შვანგირაძე მათე -

სახვაძე მათე -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

თავხელიძე ილია -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

ყალიჩავა კობა -

გარიშვილი მარინე -

თუმანიშვილი გიორგი -

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

ნოდარ ხოდელი -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

გაბაშვილი ალექსანდრე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ლორია კახაბერი -

ბჟალავა ელისაბედი -

რუსეიშვილი მანანა -

პაიჭაძე თამარი -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპოლონი -

ზაქარიაძე ანასტასია -

ბახტაძე მიხეილი -

სტუდენტები:

თვალაძე მარიამი -

ხუციშვილი დინა -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცქიტიშვილი თემური -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ლომიძე ნოდარი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

ნიკოლაიშვილი მანანა

პეტრე მელიქიშვილის ფიზ. და ორგ. ქიმიის ინსტიტუტი

გურგენიშვილი მარინა -

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს იმ წევრთა სია, რომელთაც დისტანციურად (ელ. საშუალების გამოყენებით) დაადასტურეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებული საკითხის გაცნობის ფაქტი

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი (04.02.2022 წ. #1)

1. აბაშიძე ზურაბ
2. ავაზაშვილი ნიკოლოზ
3. ამირანაშვილი ავთანდილ
4. ანანიაშვილი ნათელა
5. ზაუტაშვილი მარინე
6. იმნაძე პაატა
7. კუხიანიძე ალექსანდრე
8. ლობჟანიძე გია
9. მაღრაძე ვახტანგ
10. სილაგაძე ავთანდილ
11. ფერაძე გოჩა
12. ქურდაძე რამაზ
13. ღვედაშვილი გიორგი
14. ყარალაშვილი თამაზ
15. შალიკაშვილი მორის
16. შანიძე რევაზ
17. შენგელია თემურ
18. ჩიტაშვილი მარინე
19. წერეთელი მზია
20. ხარაიშვილი ეთერი
21. ხაჩიძე მანანა
22. ხუსკივაძე მამუკა
23. ხუციშვილი ქეთევან

N 1575/28 29/01/2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს,

ბატონო ვლადიმერ,

ამა წლის 24 იანვრის სხდომაზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გეოგრაფიის დეპარტამენტის ერთ-ერთი კათედრის სახელწოდების მოდიფიცირების შესახებ. კერძოდ, „რეგიონული გეგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრას“ უნდა შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა“. გთხოვთ დაამტკიცოთ ცვლილება ფაკულტეტის დებულების 36-ე მუხლის მე-6 პუნქტის ა) ქვეპუნქტში. კერძოდ, ეს ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ა) საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა.

გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, კათედრის გამგის წერილები და თსუ იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა თან ერთვის.

პატივისცემით,

რამაზ ხომერიკი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
ადმინისტრაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს რამაზ ხომერიკს.

ბატონო რამაზ,

გეოგრაფიის დეპარტამენტში მიმდინარე წლის 13 იანვარს შემოვიდა რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის გამგის პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილის განცხადება, სადაც იგი ითხოვს კათედრისათვის სახელის გადარქმევას და ძველი სახელის დაბრუნებას, კერძოდ ნაცვლად „რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარებისა“ კათედრის ეწოდოს „საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა“.

დეპარტამენტში განხილულ იქნა ეს საკითხი და დეპარტამენტი დაეთანხმა პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილის წინადადებას.

გთხოვთ გაიტანოთ აღნიშნული საკითხი ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად

პატივისცემით

პროფ. დავით კერესელიძე

გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანე;ლი

N 1522/10 28/01/2022

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანს
ბატონ რამაზ ხომერიკს

ამავე უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის
არჩილ კუკულავას

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო რამაზ,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტში წარმოდგენილი იქნა თქვენი 2022 წლის 25 იანვრის №1182/28 კორესპონდენცია, რომელიც ეხება გეოგრაფიის დეპარტამენტის ერთ-ერთი კათედრის სახელწოდების მოდიფიცირების საკითხს.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, იურიდიული დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ კათედრა რჩება კათედრაზე არსებული მომიჯნავე, ერთმანეთთან მჭიდრო საგანმანათლებლო-სამეცნიერო კავშირში მყოფ იმავე პროგრამების განმხორციელებელ სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულად და კათედრის სახელწოლდების ცვლილება არ იწვევს ფაკულტეტის სასწავლო - სამეცნიერო სტრუქტურის, ასევე კვლევის პროფილის ზღვრული არეალისა და თემატიკის ცვლილებას, კათედრის სახელწოდების ცვლილება არ გამოიწვევს კათედრაში გაერთიანებული აკადემიური პერსონალის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის გადახედვის საჭიროებას. კათედრის სახელწოდების მოდიფიცირების გადაწყვეტილება დასაშვებია დადგენილი პროცედურით - ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით და ფაკულტეტის დებულებაში შესაბამისი ცვლილების პროექტის სახით უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენით.

პატივისცემით,

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს
პროფ. დავით კერესელიძეს

რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების
კათედრის გამგის **პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილის**

განცხადება

როგორც მოგეხსენებათ, 1998 წლის 29 ივნისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, დაარსდა საქართველოს გეოგრაფიის კათედრა.

2005 წლის დასაწყისში, სრულიად მიუღებელი მოთხოვნის შედეგად, კათედრას შეეცვალა სახელწოდება და მას შემდეგ იწოდება: რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრად.

საქართველოს გეოგრაფიის კათედრის სამეცნიერო საქმიანობა ინტეგრაციული გეოგრაფიის რამდენიმე ახალი მიმართულების განვითარებას უკავშირდებოდა და უკავშირდება, რომელთა შორის აღსანიშნავია: ლანდშაფტური დაგეგმარება, საქართველოს სამხედრო გეოგრაფია, საქართველოს ლანდშაფტთა კადასტრი, საქართველოს რეკრეაციული გეოგრაფია, მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება, საქართველოს დემოგეოგრაფია, საქართველოს სამედიცინო გეოგრაფია, საქართველოს განათლების გეოგრაფია, საქართველოს დაცული ტერიტორიების, საქართველოს ისტორიული და კულტურული ლანდშაფტების, საქალაქო აგლომერაციების ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია და სხვ.

კათედრის თანამშრომელთა ძალიხმევით ქართულ და რამდენიმე უცხო ენაზე გამოიცა უმაღლესი და საშუალო სკოლის ორათეულზე მეტი სახელმძღვანელო დაორ ათეულამდე მონოგრაფია, საქართველოს გეოგრაფიის თემატიკაზე დაცულია 12 სადოქტორო დისერტაცია. 2001 წლიდან კათედრის ძალისხმევით ასევე გამოიცემა ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია“, სადაც სტატიები იბეჭდება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

მიგვაჩნია, რომ გეოგრაფიის ზოგადსაგანმანათლებლო და ეროვნული მნიშვნელობიდან, ასევე კათედრის პროფილური საქმინობიდან გამომდინარე სასურველია აღდგეს კათედრის სახელწოდება.

გთხოვთ გვიშუამდგომლოთ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რათა დაუბრუნდეს კათედრას პირვანდელი სახელწოდება და ეწოდოს: საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა.

უღრმესი პატივისცემით

პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი
13.01.2022 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 334/10 12/01/2022

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

გაცნობებთ, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოსულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 22 დეკემბრის N6/79152 კორესპონდენცია, რომელშიც დასმულია სახელმწიფო საკუთრებასა და უნივერისტეტის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N58-ში მდებარე 40 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მ.შ. დაახლოებით 23 500 კვ.მ. სატყეო ზონა) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს.კ: 01.14.09.004.038) სახელმწიფოს მიერ პრივატიზების შესაძლებლობის საკითხი, უნივერსიტეტისათვის 8 900 000 (რვა მილიონ ცხრაასი ათასი) ლარის ჩარიცხვის პირობით.

ამასთან, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული უძრავი ქონება არ წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე უნივერსიტეტი პრივატიზების შემთხვევაში მიიღებს ქონების საბაზრო ღირებულებას სრულად (ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება შეფასებულია 8 900 000 ლარად).

აღნიშნულის შედეგად მიღებული სახსრებით დაგეგმილია უნივერსიტეტის ახალი კორპუსის (არანაკლებ 5000 კვ.მ. ფართის) მშენებლობა.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ ზემოხსენებული საკითხი

.

დანართი: 1 ელ. ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

KA021711553690321

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N6/79152 22 / დეკემბერი / 2021 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

ასლი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შპს „ჰოლივუდ ფილმს აკადემიის“ (ს.ნ 405426141) განცხადების საფუძველზე განიხილება ქ. თბილისში, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე N58-ში მდებარე 40500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს.კ: 01.14.09.004.038) პრივატიზების საკითხი. აღნიშნული უძრავი ქონების ერთ-ერთ საპრივატიზებო პირობად განიხილება უძრავი ქონების შემძენის მიერ 8 900 000 (რვა მილიონ ცხრაასი ათასი) ლარის ჩარიცხვა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი პოზიცია დასახელებული პირობით პრივატიზების მიზნით უძრავ ქონებაზე უნივერსიტეტის სარგებლობის უფლების გაუქმების თაობაზე. ამასთან, დადებითი პოზიციის წარმოდგენის შემთხვევაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ ანგარიშის ნომერი, რომელზეც უნდა განხორციელდეს ქონების შემძენის მიერ ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სახელმწიფო ქონების პრივატიზების
დეპარტამენტის უფროსი

ზურაბ წიქვაძე